IMPORTANCE OF TAO-KLARJETI IN THE HISTORY OF TURKEY AND GEORGIA

ტაო-კლარჯეთის მნიშვნელობა თურქეთის და საქართველოს ისტორიისათვის

ONUR GÜVEN

Doctor of History, Nineteen May University,
Gendarmerie and Coast Guard Academy,
Ankara, Turkey,
ORCID: 0000-0002-3640-2816,
onurguven08@gmail.com

Abstract. Tao and Klarjeti regions, which have been mentioned since ancient times, have been used together in the academic literature due to their proximity, even though they are two separate geographical settlements. Today, this region corresponds to the northeast of Anatolia. In general terms, Klarjeti, Artvin and its surroundings; Tao, on the other hand, constitutes Erzurum and its surroundings.

This geography has been the centre of struggles and wars for many years. In particular, it was the domain of the Roman and Sassanid Empires, and the Coruh River was accepted as the border in these wars. As a result of the Arab raids advancing towards Georgia and its interiors, Ashot in the Bagratid dynasty established a strong principality by making Ardanuc the centre. Then he turned this region into an important religious and cultural life area.

On the other hand, since the beginning of the 11th century, the Seljuk Turks organized expeditions on Tao and Klarjeti. Sultan Alp Arslan and Sultan Meliksah made these regions Turkish lands and a significant Turkish population flocked to this area. From this century onwards, the region has been dominated by Turks and Georgians. In this article, a general evaluation has been made about the Tao-Klarjeti region, which has historical importance for Turks and Georgians, and it has been tried to reveal in which aspects it is important for the Turkish and Georgian nation.

Key words: Turks; Georgians; Tao-Klarjeti; Seljuks; Bagratids.

ონურ გიუვენ

ისტორიის დოქტორი, 19 მაისის უნივერსიტეტი,
ჟანდარმერიისა და სანაპირო დაცვის აკადემია,
ანკარა, თურქეთი,
ORCID: 0000-0002-3640-2816,
onurguven08@gmail.com

აბსტრაქტი. უძველესი დროიდან მოხსენიებული ტაოსა და კლარჯეთის რაიონები სიახლოვის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში ერთად გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ორი ცალკეული გეოგრაფიული დასახლებაა. დღეს ეს რეგიონი შეესაბამება ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთს. კლარჯეთი, ართვინი და მისი შემოგარენია; ტაო კი წარმოადგენს ერზრუმსა და მის შემოგარენს.

ეს ტერიტორია მრავალი წლის განმავლობაში იყო დაპირისპირებისა და ომების ცენტრი. კერძოდ, ეს იყო რომის და სასანიდების იმპერიების სამფლობელო და ამ ომებში საზღვარად მდინარე კორუჰი იყო მიჩნეული. საქართველოში არაბთა ლაშქრობების შემდეგ მის შიდა რაიონებში ბაგრატიდთა დინასტიის წარმომადგენელმა აშოტმა შექმნა ძლიერი სამთავრო

ცენტრით არდანუკი. შემდეგ მან ეს რეგიონი რელიგიური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან არეალად აქცია.

XI საუკუნის დასაწყისიდან თურქ-სელჩუკებმა მოაწყეს ლაშქრობები ტაოსა და კლარჯეთში. სულთანმა ალფ არსლანმა და სულთან მელიქშაჰმა ეს რეგიონები თურქულ მიწებად აქციეს და ამ მხარეში თავი მოიყარა თურქული მოსახლეობის მნიშვნელოვანმა რაოდენობამ. ამ საუკუნიდან რეგიონში დომინირებენ თურქები და ქართველები. ამ სტატიაში ზოგადი შეფასება გაკეთდა თურქებისა და ქართველებისთვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტაო-კლარჯეთის რეგიონის შესახებ და შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ რა ასპექტებითაა იგი მნიშვნელოვანი თურქი და ქართველი ერისთვის.

საკვანძო სიტყვები: თურქები; ქართველები; ტაო-კლარჯეთი; სელჩუკები; ბაგრატიდები.

შესავალი. ტაო-კლარჯეთი თურქი და ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ცენტრია. ქართველებისთვის იგი რელიგიური მნიშვნელობის გარდა ძველ დასახლებად არის მიჩნეული; რეგიონი მოხსენიებულია, როგორც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. თურქებს შორის სელჩუკების დარბევის შემდეგ, ქალაქები, როგორიცაა ერზურუმი და ართვინი, XI საუკუნეში თურქი მოსახლეობის დასახლების ადგილებად იქცა. ამ კვლევაში განხილული იქნება ტაო-კლარჯეთის რეგიონის მნიშვნელობა საქართველოსა და თურქეთის ისტორიის თვალსაზრისით; აღსანიშნავია, რომ ამ აადგილს ქართველებისთვის რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ხოლო თურქებისთვის არის საცხოვრებელი ადგილი, სადაც ისინი ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

ტაო-კლარჯეთის რეგიონი, რომელიც მასპინძლობს მრავალ ცივილიზაციას ნეოლითის პერიოდიდან მოყოლებული, შედგება მაღალი მთებითა და პლატოებით გარშემორტყმული ნაყოფიერი მიწებისაგან, მდინარე ჭოროხის შენაკადებსა და თორთომისა და ოლთისის ნაკადებს შორის. რეგიონში მდიდარი მინერალური საბადოების არსებობამ განაპირობა უძველესი ცივილიზაციების დასახლება, როგორიცაა მაგალითად ურარტუ. გარდა ამისა, კოლხეთის სამეფომ ამ გეოგრაფიაში მიაღწია მაღალ ცივილიზაციას. კოლხეთის სამეფო პირველი დიდი ცივილიზაციის ცენტრია საქართველოს ისტორიის დასავლეთში და მისი საზღვრები ძირითადად ბათუმსა და მის შემოგარენშია და დროდადრო ფართოვდება ზემო ჭოროხის ხეობამდე და ტრაპიზონამდეც კი (Bayram, 2005: 19). ამ ცივილიზაციას დიდი ადგილი უჭირავს ქართველთა კულტურულ, ენობრივ, რელიგიურ და ეთნიკურ განვითარებაში. ამ რეგიონში მდებარე ტაო-კლარჯეთს დროდადრო სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ. ადგილს ილია ჭავჭავაძე „ოსმალეთის საქართველოს“, გიორგი ყაზბეგი „თურქულ საქართველოს“, ივანე ჯავახიშვილი და ვიქტორ ნაზაძე „ზემო ქართლს“ , ექვთიმე თაყაიშვილი „მუსლიმურ საქართველოს“, სერგი ჯიქია „საქართველოოს ვილაეთს“ და მიხაკო წერეთელი „ქართველი ერის ძველ ადგილს, ძველ საქართველოს“ სახელით მოიხსენიებდნენ (გივიაშვილი-კოპლატაძე, 2004: 9).

ტერმინი ტაო-კლარცეტი ლიტერატურაში შუა საუკუნეებიდან შემოვიდა. ზოგადად, ისტორიულ მესხეთს, ზემო ქართლს ან სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიას შეესაბამება. (Burçuladze და ა.შ., 2018: 17). მესხეთი, ჭოროხის აუზთან და მდინარე მტკვრის ჩრდილოეთ ნაწილთან ერთიანდება და ეს ტერიტორია გარშემორტყმულია მთებით. ჩრდილოეთით მესხეთის ქედებია, აღმოსავლეთით ჯავახეთის მთები, დასავლეთით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სამხრეთით კი მთები ჰყოფს ჭოროხს და მტკვარს ევფრატისა და არაქსის აუზებისაგან. გარდა ამისა მესხეთის ქედიდან წამოსული არსიანის მთები იყოფა ორ ნაწილად, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ ნაწილებად. აღმოსავლეთით იგი მოიცავს მდინარე მტკვრის ზედა ნაწილს, დასავლეთით კი ჭოროხის აუზის მთლიან ტერიტორიას. ტაო, კლარჯეთის ტერიტორიის მთელ სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. რეგიონში ყველაზე ლამაზი ეკლესიები დასავლეთით, თორთუმ-ჩაისა და ჭოროხის ხეობის მახლობლად მდებარეობს. ტაოს შუაგულში, კლარჯეთის ცენტრში მდებარეობს

არტანუჯი. ეს არის მთელი რეგიონის ყოფილი დედაქალაქი და ის დიდი რეგიონი, რომელიც ზემო იბერიის სახელით არის ცნობილი. არტანუჯის გარდა სხვა მნიშვნილოვანი რეგიონებია ოლთისი და პენექი. ტაოს აღმოსავლეთ ნაწილს ცალკე სიმაღლე აქვს თორთომის ხეობასთან. ოლთისი-პენექი აქ ქმნის ორ მნიშვნელოვან ხეობას და ვრცელდება უკიდურესად ფართო გეოგრაფიაზე. ტაო ფარავს ჭოროხის შუა ნაწილს მარჯვენა და მარცხენა მკლავებით და იყოფა ორ ნაწილად, როგორც ამიერი და იმიერი ტაო. ორ მხარეს შორის საზღვარი გადიოდა ოლთისისწყლისა და ბარდუსსისწყლის ქვედა ნაწილში. ეს ტერიტორიები თავისთავად პატარა ადგილის სახელებსაც მოიცავდა. ისეთები როგორიცაა: გურჯი-ბოღაზი, ასის ფორი (Asis Pori), ბანა, ტაოსკარი, ფანასკერტი, თორთომი. იმიერ ტაოს ციხე-ქალაქი ოლთისია. ამიერ ტაო IX-X საუკუნეებში მოიცავდა ადგილებს როგორიცაა კალმახი, ფანასკერტი და ბანა (Burçuladze და ა.შ., 2018: 17).

ტაოს ჩრდილოეთით მდებარეობს კლარჯეთის მხარე. მდინარე ჭოროხის ქვედა ნაწილის გარდა, იგი ასევე მოიცავს ზღვის ნაწილს. მდინარე ჭოროხის პირი და ხოფას შორის ტერიტორია, ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „კლარჯეთის ზღვის სანაპიროს კიდე“. კლარჯეთი მოიცავს ადგილებს, როგორიცაა: ბორჩხა, თუხარისი, (სოფელი კაიდიბი, შავშეთი) არტანუჯი, ნიგალი (ართვინის ცენტრი/ლივანე) და მურღული (მურგული). გარდა ამისა შედიოდა შავშეთიც. „ქართლის ცხოვრებაში“ კლარჯეთის შესახებ პირველი ინფორმაცია, ნოეს წარღვნის შემდეგ, დედამიწაზე კაცობრიობის გავრცელების ლეგენდას უკავშირდება. თარგამოსის რვა ძლიერი ვაჟის სახელებია: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანოსი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. თარგამოსმა თავისი ქვეყანა გაყო და თავის ვაჟებს გადასცა. მის ვაჟს ქართლოსს ეკუთვნოდა უშუალოდ ჰერეთი და ბერდუჯი (ქვემო ქართლი/ბორჩალო), რომელიც მოცავდა ტერიტორიებს: დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთიდან დასავლეთისკან მიმავალი და ჩრდილოეთით მტკვართან შეერთებული კლარჯეთისა და ტაოს შორის ბერდუჯამდე (ქვემო ქართლი/ბორჩალო) მთა, ხოლო ჩრდილოეთით ლიხის ქედამდე ტერიტორას (ქართლის ცხოვრება, 2011: 4).

მეთოდი

წინამდებარე სტატია მომზადებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდებზე დაყრდნობით. მათ შორის გამოყენებულია შედარებითი ისტორიული კვლევის მეთოდი, როგორც წყაროს ანალიზი. რაც გულისხმობს ისტორიული ტექსტების შინაარსობრივ ანალიზს.

შედეგი

ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ტაოს და კლარჯეთის მხარეები მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ასევე თურქი ერისთვის. სტატიაში გაკეთებული ანალიზის მიხედვით, თურქული და ქართული წყაროების გათვალისწინებით და შედარებითი ანალიზის მეთოდით მიდგომის შედეგად ჩანს, რომ აღნიშნული რეგიონი ორივე ერისთვის იყო ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და განსაკუთრებით რელიგიური ცენტრი. თურქებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მხარეებ სელჩუკებისთვის ეკონომიკურ დანიშნულება ჰქონდათ. ხოლო, ქართველებისთვის მან რელიგიური მნიშვნელობა შეიძინა, განსაკუთრებით საეკლესიო და სამონასტრო საქმიანობის შედეგად.

მსჯელობა

რეგიონის ისტორიული მნიშვნელობა თურქებისა და ქართველებისთვის

ძვ.წ. IV საუკუნეში ქართველებმა დააარსეს საქართველოს სამეფო, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიის დამოუკიდებელ რაიონებში და დროთა განმავლობაში ისინი გავრცელდნენ მდინარე ჭოროხის შენაკადებსა და ხეობაში. ამ პერიოდში გაიზარდა ისეთი დასახლებების მნიშვნელობა, როგორიცაა კლარჯეთი, ოლთისი (ტაო), სპერი, არტაანი, კოლა და ჩილდირი. გამომდინარე იქიდან, რომ ტაო და კლარჯეთი რეგიონის მნიშვნელოვან ადგილებს წარმოადგენდა პროდუქტიულობთა და სტრატეგიულობის თვალსაზრისით, მთელ ხეობას ეწოდა ტაო-

კლარჯეთი. დროთა განმავლობაში რეგიონი რომისა და სპარსეთის იმპერიების თავდასხმას განიცდიდა (Lang, 1997: 50-55).

ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და რელიგიური აღზევება მეფე ვახტანგ გორგასლის დროს მოხდა. მეფე, რომელსაც V (მეხუთე) საუკუნეში სასტიკი ომი ჰქონდა ბიზანტიასთან, კლარჯეთში ჩასულა და აღმოსავლეთ რომზე უპირატესობა მოუპოვებია. მან ბიზანტიის იმპერატორი ჩამოაშორა რეგიონს, აიღო მისი მიწები და უკან დაბრუნებისას მისი უახლოესი პირი არტავაზი, არტანუჯის ერისთავად დანიშნა და სთხოვა რეგიონში ეკლესია-მონასტრების აშენება. ამის მერე აშენდა ოპიზას მონასტერი, დაბას, მერეს, შინდობისა და ახიზის ეკლესიები. გარდა ამისა, გარემონტდა არტანუჯისა და ახიზის ციხეები. ვახტანგ მეფემ მოგვიანებით თბილისი დედაქალაქად გამოაცხადა, ასე დასრულდა სპარსეთის ბატონობა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში და დაარსდა ქართლის სამეფო (ქართლის ცხოვრება, 2011: 137-140).

შემდგომ პერიოდში არაბთა ლაშქრობები ქართველებისთვის როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურად დამანგრეველი აღმოჩნდა. არაბული ჯარების პირველი მოქმედებები სამხრეთ კავკასიის მიმართულებით ხალიფა ომარის მეფობის დროს დაიწყო (El-Belazuri, 2002: 290). არაბებმა, რომლებმაც აიღეს ერზურუმი და გადასახადების გადახდა დაავალეს ჭოროხის ხეობას, აღმოსავლეთ საქართველოს სამართავად თბილისში დანიშნეს მმართველი და ასე დაარსეს არაბთა საამირო. ქართული წყაროებში ყრუდ მოხსენიებულმა მურვან ყრუმ რეგიონს მძვინვარედ შეუტია. მურვან ყრუმ 736 წელს სომხეთის, საქართველოსა და შავი ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებით თბილისში არაბთა საამირო დააარსა (ჯანაშია, 1936: 37-38). არაბთა შემოსევები, რომელიც დიდი ხანი გრძელდებოდა, საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგის მომტანი გახლდათ და საამირო, ქართველებისთვის რთული პერიოდის დასაწყისი აღმოჩნდა. VIII საუკუნის შემდგომ და IX საუკუნის დასაწყისში ქართველთა მმართველი აშოტ ბაგრატიონი ქართლში არაბთა გავლენისა და ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც არაბები ქართლს იღებდნენ ერისმთავარი დიდი აშოტი გახლდათ მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არაბები რეგიონში დიდ ხანს მშვიდობას არ უშვებდნენ, აშოტი იძულებული გახდა ქართლი დაეტოვებინა და არტანუჯში გადასულიყო. აამ პერიოდში არაბთა მმართველების მიერ განადგურდა ქართლის სამთავრო. ამის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროები (მელიქიშვილი/რედაქტორი, 1970: 270-280).

მოგვიანებით, ტაო-კლარჯეთის სამთავრო აშოტ I-მა დაარსა დღევანდელი ართვინისა და ერზურუმის მიწებზე. სამთავროს დაარსების დროს ზემო ქართლში ქალაქები იყო: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, აჭარა, ნიგალი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაონი, სპერი, ბაიბურთი და მისი შემოგარენი. (ინგოროყვა, 1954: 298). აშოტ ბაგრატიონი, თბიილისში გარკვეული პერიოდის განმავლობაში არაბ ემირებს ებრძოდა, შემდგომ კი არტანუჯში გადავიდა, შეაკეთა ციხე და დედაქალაქად აქცია. აშოტი, რომელსაც კომერციული ურთიერთობა ჰქონდა მეზობლებთან, ეხმარებოდა ბიზანტიას, როგორც ნიჭიერი მმართველი. სანაცვლოდ ბიზანტიამ მას კურაპალატის წოდება მიანიჭა. აშოტ კურაპალატის მიერ ტაო-კლარჯეთის სამთავროს დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა ამ მხარის მნიშვნელობის გაზრდას. არაბთა თავდასხმებისა და ეპიდემიების გამო განადგურებული ტაო-კლარჯეთი, აშოტ ბაგრატიონ I-მა (786-826) და დიდ სასულერო პირად მოხსენიებულმა გრიგოლ ხანძთელმა (759-861) კვლავ აქციეს რელიგიურ ცენტრად (თაყაიშვილი, 1949: 370-380).

ბერი გრიგოლი კლარჯეთის მხარეში 720 წელს ჩავიდა და არაბთა ლაშქრობიდან შემორჩენილ ერთადერთ ეკლესიაში, ოპიზაში დასახლდა. არაბთა ლაშქრობების გამო ისლამის სწრაფი გავრცელების მიუხედავად, ხანძთელმა ტაო-კლარჯეთში მრავალი მონასტერი ააშენა ამ მხარეში ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით. (ჯობაძე, 2007: 24). ბერი ხანძთელის შემდეგ რეგიონში მოსულ აშოტ I-ს და მმართველებს და გაარემონტეს და ფუნქციონირება დაიწყო მანამდე აშენებულმა ოპიზამ, მერესა და ფარეხის მონასტრებმა. ტაო-კლარჯეთში მონასტრები

დააარსეს ბერებმა და მატმა მოსწავლეებმა, რომლებმაც შექმნეს სამონასტრო ხუროთმოძღვრული სტილი. ეს საქმიანობა სავარაუდოდ 830-840 წლებში ხდებოდა და ცნობილია, რომ მშენებლობები დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა მეფე ბაგრრატ კურაპალატის (826-876) დროს. ცნობილია, რომ ამ პერიოდში რეგიონში არსებობდა შატბერდის, ჯმერკის, ბერთას, დაბას, ოპიზას, ხანძთას, მიდზნაზორის, წყაროსთავის, ბარეთელთას მონასტრები. გარდა ამისა, რეგიონში არის ბერის მიერ დაარსებული და შეკეთებული მონასტრები. ეს არის პარეხის, გუნათლის ვანის და მერეს მონასტრები. ასეთი რელიგიური და პოლიტიკური მოვლენების წყალობით ტაო-კლარჯეთის მხარეს ეწოდა საქართველოს სინაი (Bayram, 2015: 481-495).

მას შემდეგ რაც არაბებმა აშოტი მოკლეს, კლარჯეთს დააკისრეს ხარკი. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის მხარე, ადგილობრივი მმართველი ლიპარიტის დროს საკმაოდ დასუსტდა, ადარნასე II-ს დროს კვლავ გაძლიერდა. მან გააძლიერა ურთიერთობები ბიზანტიასთან. მას შემდეგ რაც ქვეყანა გაძლიერდა სხვა მეფეების, დიდებულებისა და სასულიერო პირების მხარდაჭერით, დავით დიდმა მოისურვა საქართველოს ერთიან სამეფოდ გაერთიანება. დავით დიდის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა გურგენ I (994-1008) მეფეთა მეფის ტიტულით. იმპერატორი ბასილეოსი, რომელსაც არ სურდა რეგიონში ბაგრატიდების დინასტიის გაძლიერება, როდესაც შეიტყო დავით კურაპალატის გარდაცვალების ამბავი, მანამდე არსებული შეთანხმების მიხედვით ტაოს ხელში ჩასაგდებად რეგიონს მიადგა. იმპერატორმა ბასილეოსმა, რომელმაც თავდაპირველად წარმატებას მიაღწია, მეფე გურგენთან და მის ვაჟ ბაგრატთან III-სთან ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაება. გურგენის შემდეგ ტახტზე ასულმა ბაგრატ III-მ კახეთისა და ჰერეთის აღებით მოახერხა ქართული ერთიანობის დამყარება თბილისის გარდა (Berdzenişvili-Canaşia, 2000: 120-125).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეფობის დროს გაუმჯობესდა, პრობლემები კვლავ წარმოიშვა, რადგან იმპერატორმა კონსტანტინემ ჯერ სომხეთი აიღო და მოგვიანებით განაცხადა, რომ მას სურდა ქართულ მიწებზე თავდასხმა. ამ ვითარებამ სარგებელი მოუტანა აღმოსავლეთიდან წამოსულ ახალ ძალას - თურქ-სელჩუკებს (Berdzenişvili-Canaşia, 2000: 125-127).

დიდი სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსებიდან მალევე, ბიზანტიური სახელმწიფოსკენ დაიწყო აღმოსავლეთის საზღვრების გადალახვა და გაიმარჯვა კიდეც 1048 წელს ჰასანქალეს წინ, რამაც გამოიწვია სელჩუკების გაძლიერება აღმოსავლეთ ანატოლიაში. სულთან თუღრულის მეფობის დროს, 1054 წელს, მათ შუა ჭოროხის რეგიონი აიღეს. სულთან ალფ-არსლანი თავის მმართველობის პერიოდში, 1064 და 1068 წლებში, საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში შეიჭრა. ამ პერიოდისთვის რელიგიური კუთხით მნიშნელოვანი ადგილი - ანი, სელჩუკების ხელში გადავიდა. საქართველოში დაპყრობილი მიწები განჯის ამირას ფადლონსა და თბილისის ამირას დაუტოვა (Sevim, 2020: 62-64).

ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს მეფემ დამორჩილდა სელჩუკთა ბატონობას, მაგრამ მალევე აჯანყდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. სულთანი ალფარსლანი თავის ჯართან ერთად 1064 წელს გაემართა ბაგრატ IV-ს ფეხდაფეხ, და შეიტყო, რომ მეფე შავშეთში წასულიყო და სულთანმა აიღო შავშეთი, კლარჯეთი, ოლთა-პენეკის ველი და იუსუფელის მიდამოები. სულთან ალფარსლანმა, რომელიც ბაგრატ IV-ს გაჰყვა მდინარე ჭოროხის გასწვრივ კავკასიის მთებისკენ, ძალით დადო მასთან შეთანხმება და გადასახადი დააკისრა. 1071 წელს მალაზგითის ბრძოლით თურქ-სელჩუკთა ძალაუფლებამ პიკს მიაღწია და ბიზანტიის გავლენა ართვინში და მის გარშემო შესუსტდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფე გიორგი II-მ (1072-1089) წინააღმდეგობა გაუწია, ართვინი და მისი შემოგარენი სელჩუკების ხელში გადავიდა (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 290-295).

1080-იანი წლები ხშირი ბრძოლების პერიოდი გახლდათ საქართველოსთვის და ამავე დროს გარშემორტყმული იყო მუსლიმი მეზობლებით. ეს პერიოდი ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც "დიდი თურქობა". თურქ-სელჩუკების ამიერკავკასიაში ხშირი თავდასხმები

სულთან მელიქშაჰის მმართველობის დროს ხდებოდა (შენგელია, 1968: 275). ამ არეულობისთვის ბოლოს მოღების მიზნით სულთან მელიქშაჰმა 1080 წელს ერთ-ერთი უდიდესი მეთაური, ემირ აჰმედი გამოგზავნა, რომელიც არრანში ჩავიდა. ემირ აჰმედმა, რომელიც წყაროებში ძალიან ძლიერ და დაუნდობელ მეომარადაა აღწერილი, დაიწყო სასტიკი ლაშქრობები საქართველოში. მოგვიანებით ყარსის ალყისა და საბოლოოდ, მისი დაპყრობით, შემდეგ კი ერზურუმის, ოლთისისა და გრიგოლის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა მიწებისა თუ ქალაქების დაპყრობის შემდეგ, რეგიონში ძლიერი დარტყმა მიაყენა ქრისტიანულ მმართველობას. შემდეგ მისი მეთაურობით ჯარმა მოულოდნელად შეუტია მეფეს, რომელიც ყუელის გარეთ იმყოფებოდა, მოულოდნელი თავდასხმა ყუელში დიდი მსხვერპლით დასრულდა, მეფე იძულებული გახდა გაქცეულიყო, უამრავი მებრძოლი დახოცა და ტერიტორია უკან დაიბრუნა (ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 319).

აჰმედი, როდესაც არრანში ბრუნდებოდა, საქართველოსთან ბრძოლის მერე, ხელთ მდიდარი ნადავლით, გზად თურქმენ ანუ იაყობსა და ისა პორისს შეხვდა, აჩვენა მათ თუ რაოდენ დიდი რაოდენობის ოქრო და სიმდიდრე იგდო ხელთ და მოუწოდა მათ, რომ ნაცვლად აღმოსავლეთ რომისა, საგანძურით მდიდარი საქართველოსკენ წასულიყვნენ. ამირებმა, სასწრაფოდ შეიცვალეს გეზი და მალევე, 1080 წელს საქართველოში შეიჭრნენ და შავი ზღვისპირეთამდე ყველა ადგილას შეიჭრნენ. მთლიანად დაიპყრეს ასის ფორი, კლარჯეთი, შავშეთი, არტანუჯი, აჭარა,სამცხე, ქართლი და ქუთაისი. ამ ტერიტორიებზე თავიანთი ტომები შეუშვეს და ამით ეს რეგიონები თურქებით გაივსო. მას შემდეგ, რაც თურქულმა ძალებმა ერთ დღეში გაძარცვეს ქუთაისის, არტანუჯისა და კლარჯეთის ყველა მონასტრები, ისინი აქ დარჩნენ ზამთრამდე და ამოხოცეს მღვიმეებსა და ტყეებში მიმალული რეგიონის ხალხი. (ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 319-320). 1080 წლის ამ დიდი ლაშქრობის შემდეგ, თურქებმა, რომლებმაც ზამთარი მოგანში გაატარეს, გაზაფხულზე ახალი ძალებით კვლავ შეიჭრნენ საქართველოში და მდინარე ჭოროხის ნაპირებიდან ტრაპიზონამდე მთელი ტერიტორია ხელში ჩაიგდეს (Tellioğlu, 2009: 63).

სელჩუკთა მომთაბარეებმა, რომლებიც მათ წინამძღოლებსა და ტომებთან ერთად გადასახლდნენ ანატოლიაში, თავიანთი ცხოვრების წესისა და მოსახლეობასთან ურთიერთობის დონის მიხედვით, კარვები გაშალეს მათთვის ყველაზე შესაბამის ადგილებში. ცოტა ხნის შემდეგ, ბატონებმა დაიწყეს ციხესიმაგრეთა და ქალაქების მიტაცება და იქ ცხოვრება. ამრიგად, ადგილის შენარჩუნების / სამშობლოს შენარჩუნების პროცესთან ერთად, ადრეული სამთავროების ჩამოყალიბება დაიწყო. სელჩუკთა შემოსევებმა საქართველოში ძალიან განსხვავებული პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და კულტურული შედეგები გამოიღო. უდავოა, რომ ეს პროცესი, რომელიც დაიწყო თუღრულისა და ჩაღრი ბეის მხრიდან დარბევებით, მიზნად მხოლოდ ძარცვასა და ეკონომიკური სარგებელის მოპოვებას არ ისახავდა. ეს აიხსნება იმ თურქმენული ჯგუფებით, რომლებიც ჩამოვიდნენ რეგიონში და მასობრივად დასახლდნენ თავიანთ ოჯახებთან ერთად (Polat, 2004: 72-73).

ის ფაქტი, რომ სელჩუკები პერიოდულად მოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას ეწეოდნენ, ქართველი ერი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ პირობებში, ქართველები ვეღარ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. საქართველოს ტერიტორიაზე კი მომთაბარე თურქების რაოდენობა დღითითდღე იზრდებოდა. თურქებმა აითვისეს ქართლისა და კახეთის ნაყოფიერი სამეურნეო მიწები და ქართლისკენ გადაჭიმული პლატოები საზაფხულო საძოვრებად აქციეს. დიდი თურქობის პერიოდში სელჩუკთა შემოსევების შესახებ დაწვრილებით არის ასახული ამ პერიოდის წყაროებში. დავითის ისტორიკოსის თანახმად, განადგურდა წმინდა ადგილები და ტყვედ იქნა აყვანილი მოსახლეობის ნაწილი. გარდა ამისა, 1083 წლით დათარიღებულ წარწერაში სელჩუკების საქართველოში ლაშქრობები შეფასებულია როგორც ტირანიად (ჟორდანია, 1892: 320).

არსებობს მოსაზრება, რომ სელჩუკების ლაშქრობები მათი მომთაბარე ცხოვრების წესის შედეგია. მომთაბარეებს საძოვრების შეცვლა სეზონების მიხედვით უწევდათ. ისინი ზაფხულში

მაღალ, გრილ ადგილებში ცხოვრობდნენ, ხოლო ზამთარში შედარებით დაბალ ადგილებში. ცხოვრების ეს ტიპი ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც (მაღალმთიანი და კიშლა/Yayla ve Kışla) მომთაბარე პასტორალიზმი. თურქებს სურდათ ამ ცხოვრების სტილის გაგრძელება საქართველოში, მათ მიერ დაპყრობილ რეგიონებში. თურქების ცხოვრების წესი დეტალურადაა აღწერილი ქართულ ქრონიკებში. დიდ მოსახლეობასთან ერთად ისინი საძოვრებს მთელი ზაფხული ერთად იყენებენ, ხოლო ზამთარში ისინი გადადიან (კიშლა) ადგილებში მომთაბარე პასტორალიზმი ცხოვრება) (ქართლის ცხოვრება, 2011: 300-320). ტაოს რეგიონი, მაღალი და გრილი პლატოებით ბარჰალის მთის გზაზე გახლდათ. ცხობილია, რომ თურქები თოვლის მოსვლამდე იქ რჩებოდნენ ხოლმე (Peacock, 2005: 73). თურქების საქართველოში ყოფნა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ქვეყნის მმართველობა გადაიბარა, სელჩუკებმა ზამთარი ქართლში ვეღარ გაატარეს. თუმცა ცოტა ხნით კიდევ დარჩნენ ავჭალაში, დიღომსა და მდინარე მტკვრის სამხრეთით (ქართლის ცხოვრება, 2011: 309).

ჩაღრი ბეიდან დაწყებული, სულთან თუღრულის, ალფ-არსლანისა და მელიქშაჰის პერიოდებში გაგრძელებული სელჩუკების საქართველოში ლაშქრობების შედეგების შესახებ სხვადასხვა შეხედულებები არსებობს. ეჭვგარეშეა, რომ თურქმენების ინტენსიური ლაშქრობები უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. ამ დარბევების შედეგად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები სერიოზულად დაზიანდა და მოსახლეობა შემცირდა. გარდა ამისა, ამ სიტუაციამ გავლენა იქონია ფეოდალურ სტრუქტურაზეც. თურქ აკადემიკოსებში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, განსაკუთრებით სულთან ალფ-არსლანის დროინდელი ლაშქრობების შემდეგ, ტაო-კლარჯეთის მიწები თურქების სამშობლოდ გადაიქცა. დაპყრობილ მოსახლეობასთან ერთად, ეს რეგიონი ხალხმრავალი თურქმენული ჯგუფების საცხოვრებელი გამხდარა (Subaşı, 2020: 482-484).

1089 წელს გიორგი II შეცვალა დავით IV აღმაშენებელმა (1089-1025 წწ.) და ყველა დაკარგული მიწა და უფრო მეტიც კი 1097-1117 წლებში დაიბრუნა. დავით მეფემ ფეოდალები და ეკლესიაც დააკავშირა სახელმწიფო ხელისუფლებასთან და თავის ჯარში ყივჩაღების შემატებით ძლიერი ქართული ლაშქარი შექმნა. მან ჯერ სელჩუკები განდევნა ტაო-კლარჯეთიდან, შემდეგ კი ანი აიღო. დავითმა დაასრულა არაბთა საამირო და თბილისი დედაქალაქად აქცია. მას შემდეგ, რაც თბილისი კვლავ საქართველოს ცენტრი გახდა, ქართველი ხალხი ჩრდილოეთის ნაყოფიერ მიწებზე წავიდა, ართვინმა და მისმა შემოგარენმა შედარებით დაკარგა მნიშვნელობა, თუმცა ამ რეგიონში საეკლესიო და სამონასტრო საქმიანობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა (მეტრეველი, 2002: 36-49).

დასკვნა. ტაო-კლარჯეთის მხარეში, რომელიც შუა საუკუნეებში მოიცავდა ართვინის, ერზურუმის, არტაანისა და ყარსის პროვინციებს, კოლხეთის სამეფოს დროიდან მოყოლებული ნათლად არის შესაძკებელი რეგიონში ქართველების კვალის დანახვა. ამ რეგიონში, განსაკუთრებით მეფე ვახტანგ გორგასლის დროს სასულიერო დაწესებულებებისა და სტრუქტურების თვალსაზრისით დიდი ძვრები დაიწყო. თუმცა, არაბთა თავდასხმებმა რეგიონი გაანადგურა. აშოტ ბაგრატიონისა და ბერი გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამ ტაო-კლარჯეთი ქრისტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად აქცია აღმოსავლეთში. ამის საუკეთესო მაგალითია აშენებული მონასტრები. აღნიშნული რეგიონი გამოირჩევა არა მხოლოდ მონასტრებით, არამედ ახალი დაწესებულებების დაარსებითა და ხელოვნების დარგში საქმიანობითაც. აქაურმა რელიგიურმა ცხოვრებამ, არქიტექტურამ და სამხატვრო სკოლებმა დადებითად იმოქმედა შემდეგ პერიოდებზეც. თავის მხრივ, აღსანიშნავია ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან ერთად ხელნაწერები, რელიგიური ტექსტები და საგალობლები.

გამოჩენამ, არა მარტო თურქულ-ისლამური სახელმწიფოებზე, არამედ ქრისტიანულ სახელმწიფოებზეც ღრმა გავლენა იქონია. აღმოსავლეთ ანატოლიის შავ ზღვასთან დამაკავშირებელმა ღრმა და დაცულმა ხეობებმა და სავაჭრო გზებმა ტაო-კლარჯეთის რეგიონი გეოგრაფიულად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გახადა. კერძოდ, მეცხოველეობის თვალსაზრისით კლიმატური პირობების ხელშეწყობამ, ეს რეგიონი უფრო მიმზიდველი გახადა

მიმდებარე ხალხებისთვის. ამ მიზეზით თურქ-სელჩუკთათვის მნიშვნელოვანად მიჩნეული ტაო-კლარჯეთი თურქმენული ჯგუფებით შეივსო. მეცხოველეობის მიმდევარმა თურქებმა, ტაო-კლარჯეთი თავის დასახლებად აქციეს. ტაო-კლარჯეთი, რომელიც სელჩუკების შემდგომ პერიოდში მონღოლთა თავდასხმას იგერიებდა, ილხანიანთა ბატონობის ქვეშ დარჩა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჰულაგუმ ადგილობრივ ადმინისტრატორებს გადასცა ეს ტერიტორიები, რომელიც ცნობილია როგორც საათაბაგოს სახელით, რამაც გამოიწვია ახალი ადმინისტრაციის გაჩენა ამ რეგიონში. ტაო-კლარჯეთის მიწები დარჩა ახლადშექმნილ საათაბაგოს ადმინისტრაციის ქვეშ. რეგიონს დროდადრო თავს დაესხნენ თურქმენული სახელმწიფოები, თემურლენგისა და შავბატკნიანები-თეთრბატკნიანებთტ სახელმწიფოები. ოსმალეთის იმპერიის მიერ საათაბაგო სამთავროს დასრულებამ და განსხვავებული ადმინისტრაციული სტრუქტურის დამყარებამ, თურქულ-ქართული ურთიერთობების თვალსაზრისით განსხვავებული პერიოდს ჩაუყარა საფუძველი.

ბიბლიოგრაფია

გივიაშვილი, ი., კოპლატაძე, ი. (2004). *ტაო-კლარჯეთი.* თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1949). *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ინგოროყვა, პ. (1954). *გიორგი მერჩულე.* თბილისი.

მატიანე ქართლისაჲ, (2008). ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი.

მელიქიშვილი, გ. (2012). *საქართველოს ისტორია.* 2 ტ. თბილისი: საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე.

მეტრეველი, რ. (2002). *დავით აღმაშენებელი და მეფე თამარი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჟორდანია, თ. (1892). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი.* ტ. 1. ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი.

ქართლის ცხოვრება ლეონტი მროველი&ჯუანშერი. (2011). თბილისი: გამომცემლობა ახალი ივირონი.

შენგელია, ნ. (1968). *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში,* თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება.

ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი. (2008). ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი.

ჯანაშია, ს. (1936). *არაბობა საქართველოში.* თბილისი: თბილისის დაუსწრებული პედინსტიტუტის გამომცემლობა.

ჯობაძე, ვ. (2007). *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში. კლარჯეთსა და შავშეთში.* თბლისი: უნივერსალი.

Andrew C.S. (2005). Nomadic Society and the Seljuq Campaigns in Caucasia. *İran & Caucasus.* 9/2. p. 205-230.

Bayram, F. (2005). *Artvin'deki Gürcü Manastırlarının Mimarisi.* İstanbul: Ege Yayınları.

Bayram, F. (2015). Gürcistan'ın Sinası: Tao-Klarceti. *Uluslararası Doğu Anadolu Güney Kafkasya Kültürleri Sempozyumu Bildiriler II.* Mehmet Işıklı-Birol Can (ed.). UK: Cambridge Scholars Publishing. ss. 481-495.

Belazuri. (2002). *Fütühu"l Büldan.* Mustafa Fayda (çev.). Ankara: Kültür Bakanlığı Yayınları.

Berdzenişvili, N.-Canaşia, S. (2000). *Gürcistan Tarihi Başlangıçtan 19. Yüzyıla Kadar*. (çev. Hayri Hayrioğlu (çev.). İstanbul: Sorun Yayınları.

Burçuladze N. დ ა ა.შ. (2018). *Tao-Klarceti: Tarih ve Kültür Araştırmaları*. Hasan Çelik-Kevser Ruhi (çev.). Tbilisi: Artanuji Publishing.

Lang, D. M. (1997). *Gürcüler*. Neşenur Domaniç (çev.). İstanbul: Ceylan Yayıncılık.

Polat, S. (2004). *Selçuklu Göçerlerinin Dünyası. Karacuk'tan Aziz George Kolu'na*. İstanbul:Kitabevi.

Sevim, A. (2020). *Anadolu'nun Fethi Selçuklular Dönemi*. Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

Subaşı, Ö. (20209. Tao-Klarceti Bölgesi'nin Türk Gürcü Tarihi Açısından Önemi. *Uluslararası Tarih Boyunca Anadolu Gürcistan İlişkileri Sempozyumu*. Mehmet Işıkı vd. (ed.). Ankara: Bilgin Kültür Sanat. ss. 479-487.

Tellioğlu, İ. (20099. *XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri*. Trabzon: Serander Yayınları.

REFERENCES

giviashvili, i., k'op'lat'adze, i. (2004). t'ao-k'larjeti. tbilisi.

taqaishvili, e. (1949). sumbat' davitis dzis kronik'a. tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.

ingoroqva, p'. (1954). giorgi merchule. tbilisi.

mat'iane kartlisaω, (2008). kartlis tskhovreba, mtavari redakt'ori r. met'reveli.

melikishvili, g. (2012). sakartvelos ist'oria. 2 t'. tbilisi: sakartvelo krist'ianobis mighebidan tamar mepis gardatsvalebamde.

met'reveli, r. (2002). davit aghmashenebeli da mepe tamari. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba.

zhordania, t. (1892). kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa shek'rebili. t'. 1. kronologiurad dats'qobili da akhsnili.

kartlis tskhovreba leont'i mroveli&juansheri. (2011). tbilisi: gamomtsemloba akhali ivironi.

shengelia, n. (1968). selchuk'ebi da sakartvelo XI sauk'uneshi, tbilisi: gamomtsemloba metsniereba.

tskhoreba mepet-mepisa davitisi. (2008). kartlis tskhovreba. mtavari redakt'ori roin met'reveli.

janashia, s. (1936). araboba sakartveloshi. tbilisi: tbilisis dausts'rebuli p'edinst'it'ut'is gamomtsemloba.

jobadze, v. (2007). adreuli shua sauk'uneebis kartuli monast'rebi ist'oriul t'aoshi. k'larjetsa da shavshetshi. tblisi: universali.

Bayram, F. (2005). *Artvin'deki Gürcü Manastırlarının Mimarisi.* İstanbul: Ege Yayınları.

Bayram, F. (2015). Gürcistan'ın Sinası: Tao-Klarceti. *Uluslararası Doğu Anadolu Güney Kafkasya Kültürleri Sempozyumu Bildiriler II.* Mehmet Işıklı-Birol Can (ed.). UK: Cambridge Scholars Publishing. ss. 481-495.

Belazuri. (2002). *Fütühu''l Büldan*. Mustafa Fayda (çev.). Ankara: Kültür Bakanlığı Yayınları.

Berdzenişvili, N.-Canaşia, S. (2000). *Gürcistan Tarihi Başlangıçtan 19. Yüzyıla Kadar*. (çev. Hayri Hayrioğlu (çev.). İstanbul: Sorun Yayınları.

Burçuladze N. დ ა ა.შ. (2018). *Tao-Klarceti: Tarih ve Kültür Araştırmaları*. Hasan Çelik-Kevser Ruhi (çev.). Tbilisi: Artanuji Publishing.

Lang, D. M. (1997). *Gürcüler*. Neşenur Domaniç (çev.). İstanbul: Ceylan Yayıncılık.

Polat, S. (2004). *Selçuklu Göçerlerinin Dünyası. Karacuk'tan Aziz George Kolu'na*. İstanbul:Kitabevi.

Sevim, A. (2020). *Anadolu'nun Fethi Selçuklular Dönemi*. Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

Subaşı, Ö. (20209. Tao-Klarceti Bölgesi'nin Türk Gürcü Tarihi Açısından Önemi. *Uluslararası Tarih Boyunca Anadolu Gürcistan İlişkileri Sempozyumu*. Mehmet Işıkı vd. (ed.). Ankara: Bilgin Kültür Sanat. ss. 479-487.

Tellioğlu, İ. (20099. *XI-XIII. Yüzyıllarda Türk-Gürcü İlişkileri*. Trabzon: Serander Yayınları.